საექსპერტო დასკვნა

სასტუმრო ჩეხოვის ქუჩაზე

საექსპერტო დასკვნა წარმოადგენს არქიტექტურული პროექტის საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილებასთან ტექნიკურ რეგლამენტის – "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე“ შესაბამისობის შეფასებას. საექსპერტო დასკვნის შესადგენად გამოყენებულ იქნა მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებაში, საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 თებერვლის №63 დადგენილებით შეტანილი ცვლილებების საფუძველზე 47-ემუხლით (მუხლი 47." არქიტექტურული პროექტის შემადგენლობა") განსაზღვრული არქიტექტურული პროექტი.

შემსრულებელი:  ნათია გონაძე

თბილისი

2019 წელი

საექსპერტო დასკვნა

ქ. თბილისში, ჩეხოვის ქუჩა №37-ში (ს.კ. 01.17.01.110.008) მდებარე მიწის ნაკვეთზე სასტუმროს შენობის არქიტექტურული პროექტის შესაბამისობაზე საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილებასთან, ტექნიკურ რეგლამენტის – "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე“.

ქ. თბილისში, ჩეხოვის ქუჩა №37-ში (ს.კ. 01.17.01.110.008) მდებარე მიწის ნაკვეთზე სასტუმროს შენობის არქიტექტურული პროექტი შეასრულა საპროექტო ორგანიზაციამ **შპს "ნიკა",** დირექტორი **ა.თორაძე,** პროექტის ავტორი **დ.იავრიანი.**
საექსპერტო დასკვნის შესადგენად გამოყენებულ იქნა დამკვეთის მიერ მოწოდებული დოკუმენტაცია:
მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებსაქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებაში, საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 თებერვლის №63 დადგენილებით შეტანილი ცვლილებების საფუძველზე 47-ემუხლით (მუხლი 47." არქიტექტურული პროექტის შემადგენლობა") განსაზღვრული არქიტექტურული პროექტი.

საექსპერტო დასკვნა მოიცავს არქიტექტურული პროექტის ნაწილების შეფასებას ტექნიკურ რეგლამენტთან - "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები" შესაბამისობაზე საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 თებერვლის №63 დადგენილების („მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე) **მე-5 მუხლის, მე-3 პუნქტის** მიხედვით.

1. შენიშვნები

შენიშვნა№	განმარტება

1. საექსპერტო დასკვნა წარმოადგენს არქიტექტურული პროექტის საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილებასთან ტექნიკურ რეგლამენტის – "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე“ შესაბამისობის შეფასებას და არ მოიცავს საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედ, სამშენებლო სფეროში გამოყენებულ სხვა რაიმე დადგენილებასთან შესაბამისობის ანალიზს.

2. საექსპერტო დასკვნისთვის მოწოდებული დოკუმენტაციის სისწორეზე და რეალობასთან შესაბმისობაზე პასუხისმგებელია მომწოდებელი მხარე.

3. საექსპერტო დასკვნაში გამოყენებული ტერმინები (დაკავებულობა, დაკავებულობის დატვირთვა, მისაწვდომობა და სხვა) შეესაბამება შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებში გამოყენებულ ტერმინებს და უნდა განიმარტოს აღნიშნული წესებისმიხედვით. განუმარტავი ტერმინები საყოველთაოდ მიღებული მნიშვნელობით გამოიყენება.

1. ტერმინები და განმარტებები

ტერმინი № განმარტება

1. წესები - შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები.
2.შშმ - შეზღუდული შესაძლებლობის მქონე

· პროექტის აღწერილობა

საპროექტო მიწის ნაკვეთი მდებარეობს ქ. თბილისში, მეტეხის უბანში, ჩეხოვის ქუჩა №37-ში (ს/კ 01.17.01.110.008). ნაკვეთს ჩრდილოეთიდან ესაზღვრება ა. ჩეხოვის ქუჩა, სამხრეთიდან სოლომონ ბრძენის ქუჩა, დასავლეთით ა. ჩეხოვის გასასვლელი, ხოლო აღმოსავლეთით კერძო სამეზობლო მიწის ნაკვეთები. საპროექტო ტერიტორიის ფართობი შეადგენს 853 კვ.მ-ს. რელიეფი საპროექტო ნაკვეთზე დამრეცია და ნიშნულებს შორის სხვაობა ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ შეადგენს საშუალოდ 1,5-1,8 მეტრს. შენობის 0.00 ნიშნული შეესაბამება აბსოლუტურ **ნიშნულს 424.27 მეტრს.**

საპროექტო შენობა წარმოადგენს სასტუმროს 47 საძინებელი ნომრით. შენობა თავისი ფორმით პერიმეტრალური მოშენებისაა, რომლის ცენტრალურ ნაწილში მოეწყობა გამწვანებული შიდა ეზო.

საპროექტო შენობის მიწისქვეშა სართულზე (-3.50 ნიშნული) მოეწყობა რესტორანი ღვინის დარბაზით, საკონფერენციო დარბაზი, ადმინისტრაციის ოთახები, რესტორნის სამზარეულო, პერსონალის ოთახები და სათავსოები სახანძრო ტუმბოების და სახანძრო ავზისთვის.

საპროექტო შენობის პირველ (მიწისპირა) სართულზე (0.00 ნიშნული) მოეწყობა ვესტიბიული მიმღებით, პერსონალის ოთახი და სასტუმროს ნომრები. ასევე მიწისპირა სართულზე (+0.30 ნიშნული) "7-9" და "გ-ზ" ღერძებს შორის, მოეწყობა კერძო გარაჟი, გათვლილი 1 ავტოსადგომ ადგილზე და ბაქანი ჩილერისთვის, დიზელ-გენერატორის დასადგმელად სივრცე შემოსაზღვრული იქნება 1სთ ცეცხლმედეგი კედლით, რომელსაც დამოუკიდებელი გასასვლელი აქვს.

საპროექტო შენობის მეორე და მესამე სართულები (+3.50 და +6.80 ნიშნულები) დაეთმობა სასტუმროს ნომრებს, ხოლო მეოთხე სართულზე (+9.95 ნიშნული), რომელიც დაბალჭერიანია და წარმოადგენს არასრულ სართულს მოეწყობა კაფე-ბარი ტერასით. შენობის სხვენებში მოეწყობა დამხმარე, სასაწყობო სათავსოები.

საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით შენობაში არსებული მინიმალური საძინებელი ერთეულის ფართობი შეადგენს 19 კვადრატულ მეტრს, ოთახის მინიმალური გაბარიტები 3.00X4.70 მეტრს, ხოლო ჭერის მინიმალური სიმაღლე საცხოვრებელ ერთეულში 2.35 მეტრს.

შენობის სიმაღლე მიწის დონის ნიშნულიდან **(423.74 მეტრი)** შეადგენს **12.28 მეტრს,** ხოლო ბოლო დაკავებული იატაკი მდებარეობს 11.77 მეტრზე, სახანძრო სამაშველო დანაყოფის მანქანის მისადგომიდან.

საპროექტო შენობის ღობე მოპირკეთებულია ფასადის აგურით და შევსებულია მეტალის ჭედური გისოსით. შენობის ფასადების ძირითად ნაწილზე გამოყენებულია ტექსტურირებული ცისფერი, ღია სპილოსძვლის ფერის ლესვა შეღებილი მაღალხარისხიანი საღებავით, ხოლო ნაწილი მოპირკეთებულია ფასადის აგურით. ასევე ფასადებზე გამოყენებულია ლითონის და ხის შეღებილი მაღალხარისხიანი საღებავით დეკორატიული ელემენტები. შენობის აივნების მოაჯირები სამი ტიპისაა: ხის რიკულებით, მეტალის ჭედური მოაჯირებით და ბეტონის ბლოკის მოაჯირები . შენობის ცოკოლი მოპირკეთებულია ბუნებრივი ქვით (ბაზალტით). ფასადების ღიობების ნაწილი

შეივსება თეთრი, ნაწილი მუქი ხისფერი ალუმინის კარ-ფანჯრებით და ალუმინის ვიტრაჟებით. საპროექტო შენობის სახურავი უმეტესად ქანობიანია (მინიმალური ქანობი 19%, მაქსიმლაური და გადახურულია ტერაკოტოსფერი მეტალო-კრამიტით, ხოლო შენობის აივნებზე და ტერასაზე გამოყენებული იქნება ბრტყელი, მრავალშრიანი გადახურვა (მინიმლაური ქანობი 2%) და დაიგება ყინვაგამძლე კერამოგრანიტი.

ქანობიანი სახურავი კონსტრუქცია შედგება:

- მეტალო-კრამიტი
- მილკავდარტი 60X60 მმ
- ჰიდროსაიზოლაცია მემბრანა
- შველერი
- თბოიზოლაცია
- ორთქლ-საიზოალციო მემბრანა
- თაბაშირმუყაოს პროფილი
- თაბაშირ-მუყაოს ფილა

ბრტყელი, მრავალშრიანი სახურავის კონსტრუქცია შედგება:

- კერამოგრანიტის ფილა 10 მმ
- წებოცემენტი 5მმ
- პოლიმერული მემბრანა
- პენეტრონის შემცველი ქვიშა-ცემენტის ხსნარით მოჭიმვა 40 მმ
- თბოიზოლაცია XPS 50 მმ
- ორთქლის იზოლაცია-რუბეროიდი
- კერამზიტობეტონი მინ 40 მმ
- კერამზიტი
- გაძლიერებული ბეტონის ფილა

საპროექტო შენობა სტრუქტურულად წარმოადგენს გაძლიერებული ბეტონის მონოლითურ კარკასს, სართულშუა ფილებად ასევე გამოყენებულია გაძლიერებული ბეტონი.
შენობის კონსტრუქციის ტიპი მისი სიმაღლისა და გაბარიტებიდან გამომდინარე შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების მიხედვით განისაზღვრა - **II-B.**

- **ძირითადი ნაწილი**

1. დაკავებულობებისა და დაკავებულობის დატვირთვის შეფასება

პროექტი ითვალისწინებს საპროექტო შენობაში განსათავსებელ თითოეული ტიპის დაკავებულობისთვის შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებით განსაზღვრულ ყველა დეტალურ მოთხოვნას, დაკავებულობები არის კლასიფიცირებული მე-3 თავის მიხედვით და შეესაბამება წესების 302-ე **ქვეთავს**.
პროექტში გამოყენებულია თავშეყრის **(ქვეჯგუფები: თვ-1 და თვ-2),** საქმიანი **(სქ),** სასაწყობო **(სწ-2)** საცხოვრებელი **(სც-1)** და დამხმარე **(დს)** ჯგუფის დაკავებულობები, კერძოდ:

1. თავშეყრის ჯგუფის ქვეჯგუფი **თვ-1** (საკონფერენციო დარბაზი -3.50 ნიშნულზე) **წესების 303.2 ქვეთავის** მიხედვით ამ ჯგუფს მიკუთვნებული სივრცები თავშეყრისათვის გამოიყენება, ჩვეულებრივ, ფიქსირებული დასაჯდომებითაა უზრუნველყოფილი.

თვ-1 ქვეჯგუფის დაკავებულობისთვის განსაზღვრულია დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორი-**0,7**(კონცენტრირებული (მხოლოდ დასაჯდომები - არაფიქსირებული)) წესების **1004 ქვეთავის 1004.1.2 ცხრილის** შესაბამისად და დაკავებულობის დატვირთვა შეადგენს **101 დამკავებელს.**

საპროექტო დოკუმენტაციით გათვალისწინებულია წესების **508.1 ქვეთავით** და **508.4 ცხრილით** განსაზღვრული განსხვავებული დაკავებულობების გამმიჯნავების მიმართ მოთხოვნები, თავშეყრის ქვეჯგუფი **(თვ-1),** მის ზედა სართულებზე მდებარე საცხოვრებელი **(სც-1),** და მომიჯნავედ მდებარე საქმიანი **(სქ)** ჯგუფის დაკავებულობებისაგან გამიჯნულია მინიმუმ 2 საათიანი ცეცხლმედეგობის მქონე (მასალიდან გამომდინარე, რომელიც აღწერილია წესების **721.1(1) და 721.1(2) ცხრილებში,** საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით გამოყენებულია გაძლიერებული ბეტონის მონოლითური ფილა) თარაზული ანაწყობით და მინიმუმ 1 საათიანი ცეცხლმედეგობის მქონე (გამოყენებულია ბეტონის ბლოკის წყობა) კედლებით, რაც შეესაბამება წესების **508.4 ცხრილში** განსაზღვრულ მოთხოვნებს.

2. თავშეყრის ჯგუფის ქვეჯგუფი **თვ-2** (სასადილო დარბაზი, სამზარეულო, ღვინის დარბაზი, პერსონალის სივრცე -3.50 ნიშნულზე, ბარი და სასადილო ღია ვერანდაზე +9,95 ნიშნულზე) წესების **303.3 ქვეთავის** მიხედვით აღნიშნული დაკავებულობა მოიცავს ისეთ შენობებს და ნაგებობებს, რომლებიც განკუთვნილია თავშეყრისა და კვებისთვის.

თვ-2 ქვეჯგუფის დაკავებულობებისთვის განსაზღვრულია დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორები - **1,4** (არაკონცენტრირებული მაგიდები და სკამები), **0.5** (ფეხზე სადგომი სივრცე) და **18,6** (სამზარეულოები, კომერციული) წესების **1004 ქვეთავის 1004.1.2 ცხრილის** შესაბამისად და დაკავებულობის დატვირთვა შეადგენს:

- სასადილო დარაბაზი -3.50 ნიშნულზე - **75 დამაკვებელი**
- ბარი და სასადილო სივრცე +9,95 ნიშნულზე - **167 დამკავებელი**
- ღვინის დარბაზი -3.50 ნიშნულზე **- 70 დამკავებელი**
- სამზარეულო -3.50 ნიშნულზე **- 2 დამკავებელი**
- პერსონალის ოთახები **- 20 დამაკვებელი ჯამურად** (გამოთვლილია კარადების რაოდენობის მიხედვით)

საერთო ჯამში **თვ-2 ქვეჯგუფის** დაკავებულობის დატვირთვა შეადგენს **334** დამკავებელს.

საპროექტო დოკუმენტაციით გათვალისწინებულია წესების **508.1 ქვეთავით** და **508.4 ცხრილით** განსაზღვრული განსხვავებული დაკავებულობების გამმიჯნავების მიმართ მოთხოვნები, თავშეყრის ქვეჯგუფი **(თვ-2),** მის მომიჯნავედ მდებარე სასაწყობო **(სწ-2)** და ზედა სართულზე მდებარე საცხოვრებელი **(სც-1)** ჯგუფის დაკავებულობებისაგან გამიჯნულია მინიმუმ 2 საათიანი ცეცხლმედეგობის მქონე (მასალიდან გამომდინარე, რომელიც აღწერილია წესების **721.1(1) და 721.1(2) ცხრილებში,** საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით გამოყენებულია გაძლიერებული ბეტონის მონოლითური ფილა) თარაზული ანაწყობით და მინიმუმ 1 საათიანი ცეცხლმედეგობის მქონე (მასალიდან გამომდინარე, რომელიც აღწერილია წესების **721.1(1) და 721.1(2) ცხრილებში,** საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით გამოყენებულია ბეტონის ბლოკის წყობა), კედლებით რაც შეესაბამება წესების **508.4 ცხრილში** განსაზღვრულ მოთხოვნებს. წესების **508.4 ცხრილის** მიხედვით

სამზარეულო რესტორნის სივრცისგან და სხვა **თვ-2** ქვეჯგუფის დაკავებულობის მქონე ფართობისგან გამიჯვნას არ საჭიროებს.

3. საქმიანი ჯგუფი **სქ** (ადმინისტარაციის ოთახები -3.50 ნიშნულზე) წესების **304.1**ქვეთავის მიხედვით აღნიშნული დაკავებულობა მოიცავს შენობის ან ნაგებობის, ან მისი ნაწილის გამოყენებას საოფისე, პროფესიული ან სამომსახურებო ტიპის საქმიანობებისთვის, მათ შორის, ჩანაწერებისა და ანგარიშების შესანახად.

სქ ჯგუფის დაკავებულობებისთვის განსაზღვრულია დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორი -**9,3**(საქმიანობის წარმოების (ბიზნეს) ფართობები) წესების **1004 ქვეთავის 1004.1.2 ცხრილის** შესაბამისად და დაკავებულობის დატვირთვა შეადგენს **3 დამკავებელს** .

საპროექტო დოკუმენტაციით გათვალისწინებულია **508.1 ქვეთავით** და **508.4 ცხრილით** განსაზღვრული განსხვავებული დაკავებულობების გამმიჯნავების მიმართ მოთხოვნები, საქმიანი ჯგუფი**(სქ),** მის მომიჯნავედ მდებარე თავშეყრის **(თვ-1)**, და ზედა სართულზე დმებარე საცხოვრებელი **(სც-1)** ქვეჯგუფის დაკავებულობებისგან გამიჯნულია მინიმუმ 2 საათიანი ცეცხლმედეგობის მქონე (მასალიდან გამომდინარე, რომელიც აღწერილია წესების **721.1(1) და 721.1(2) ცხრილებში,** საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით გამოყენებულია გაძლიერებული ბეტონის მონოლითური ფილა) თარაზული ანაწყობით და მინიმუმ 1 საათიანი ცეცხლმედეგობის მქონე (მასალიდან გამომდინარე, რომელიც აღწერილია წესების **721.1(1) და 721.1(2) ცხრილებში,** საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით გამოყენებულია ბეტონის ბლოკის წყობა), კედლებით რაც შეესაბამება **508.4 ცხრილში** განსაზღვრულ მოთხოვნებს.

4. საცხოვრებელი ჯგუფის ქვეჯგუფი **სც-1**, წესების **310.3 ქვეთავის** მიხედვით აღნიშნული დაკავებულობებში განთავსებულია საძინებელი ერთეულები, უმთავრესად, დროებითი მცხოვრებლებისთვის, რაც მოიცავს სასტუმროებს (მცირე ხნით დამკავებლებისთვის).

საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით შენობა წარმოადგენს სასტუმროს სადაც **სც-1** ქვეჯგუფის დაკავებულობები მდებარეობს შენობის 0.00, +3.**50, +6.80, ნიშნულებზე** განთავსებულ სართულებზე.

საცხოვრებელი ერთეულები (სასტუმროს ნომრები) დაგეგმარებულია წესების **1208 ქვეთავის** გათვალისწინებით, კერძოდ თითოეული საცხოვრებელი ერთეული შეესაბამება **1208.1 ქვეთავით** განსაზღვრულ ოთახის მინიმალური სიგანის მოთხოვნას(პროექტის მიხედვით მინიმალური სიგანე 3.00 მეტრი), **1208.2 ქვთავით** განსაზღვრულ ჭერის მინიმალური სიმაღლის მოთხოვნას (პროექტის მიხედვით მინიმალური სიმაღლე **2.35** მეტრი). ასევე სასტუმროს ნომრებში დაცულია მე-12 თავით განსაზღვრული სხვა მოთხოვნებიც შიგა გარემოსთან დაკავშირებით.

სც-1 ქვეჯგუფის დაკავებულობისთვის, განსაზღვრულია დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორი-**18.6** (საცხოვრებელი) წესების **1004 ქვეთავის** და**1004.1.2 ცხრილის** მიხედვით, შესაბამისად თითოეულ სართულზე განსაზღვრულია საერთო დაკავებულობის დატვირთვა, რაც საპროექტო შენობის სართულების მიხედვით შეადგენს:

- 0.00, **ნიშნულზე** განთავსებული სართულისთვის **-22** დამკავებელს
- +**3**.50,**ნიშნულებზე** განთავსებული სართულისთვის **- 27**დამკავებელს
- **+6.80 ნიშნულზე** განთავსებული სართულისთვის **-26** დამკავებელს

საერთო ჯამში საპროექტო შენობაში **სც-1** ქვეჯგუფის დაკავებულობის დატვირთა შეადგენს **75** დამკავებელს.

თითოეული საცხოვრებელი ფართობი(სასტუმროს ნომერი) ერთმანეთისაგან გამიჯნულია **2** საათიანი ცეცხლმედეგობის მქონე (მასალიდან გამომდინარე) თარაზული ანაწყობით და მინიმუმ 1 საათიანი ცეცხლმედეგობის მქონე კედლებით, რაც შეესაბამება წესების **508.4 ცხრილში და 420 ქვეთავში** განსაზღვრულ მოთხოვნებს.

საპროექტო დოკუმენტაციით გათვალისწინებულია წესების **508.1 ქვეთავით** და **508.4 ცხრილით** განსაზღვრული განსხვავებული დაკავებულობების გამმიჯნავების მიმართ მოთხოვნები, საცხოვრებელი ჯგუფი **(სც-1),** მის ქვედა სართულზე მდებარე თავშეყრის **(თვ-1 და თვ-2)**, საქმიანი **(სქ)** ჯგუფის დაკავებულობებისგან, მომიჯნავედ მდებარე დამხმარე **(დს)** და ზედა სართულზე მდებარე თავშეყრის **(თვ-2)** და სასაწყობო **(სწ-2)** ჯგუფების დაკავებულობებისგან გამიჯნულია მინიმუმ 2 საათიანი ცეცხლმედეგობის მქონე (მასალიდან გამომდინარე, რომელიც აღწერილია წესების **721.1(1) და 721.1(2) ცხრილებში,** საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით გამოყენებულია გაძლიერებული ბეტონის მონოლითური ფილა) თარაზული ანაწყობით და მინიმუმ 1 საათიანი ცეცხლმედეგობის მქონე (მასალიდან გამომდინარე, რომელიც აღწერილია წესების **721.1(1) და 721.1(2) ცხრილებში,** საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით გამოყენებულია ბეტონის ბლოკის წყობა), კედლებით რაც შეესაბამება წესების **508.4 ცხრილში** განსაზღვრულ მოთხოვნებს.

5. დამხამრე და სხვადასხვა დანიშნულების ჯგუფი **დს** (ტექნიკური ფართობი, წყლის რეზერვუარი და სატუმბი დანადგარის ოთახი -350 ნიშნულზე, კერძო გარაჟი და გენერატორის ოთახი +0.30 ნიშნულზე) წესების **312.1 ქვეთავის** მიხედვით აღნიშნული დაკავებულობა მოიცავს დამხმარე დანიშნულების შენობებს, ნაგებობებს და სხვადასხვა ნაგებობს, რომლებიც არ მიეკუთვნება რომელიმე სპეციფიკურ კლასს.

დს ჯგუფის დაკავებულობებისთვის განსაზღვრულია დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორი- **27,9** (დამხმარე სათავსები, მექანიკური მოწყობილობების ოთახი) და **18.6** (ავტოსადგომი გარაჟები) წესების **1004 ქვეთავის 1004.1.2 ცხრილის** შესაბამისად და დაკავებულობის დატვირთვა შეადგენს:

- -3.50 ნიშნულზე - **3 დამაკავებელი**
- +0.30 ნიშნულზე **4 დამკავებელი**

საპროექტო დოკუმენტაციით გათვალისწინებულია წესების **508.1 ქვეთავით** და **508.4 ცხრილით** განსაზღვრული განსხვავებული დაკავებულობების გამმიჯნავების მიმართ მოთხოვნები, დამხმარე ჯგუფი **(დს),** მის მომიჯნავედ,ზედა სართულზე მდებარე საცხოვრებელი **(სც-1)** ჯგუფის დაკავებულობისგან გამიჯნულია მინიმუმ 2 საათიანი ცეცხლმედეგობის მქონე (მასალიდან გამომდინარე, რომელიც აღწერილია წესების **721.1(1) და 721.1(2) ცხრილებში,** საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით გამოყენებულია გაძლიერებული ბეტონის მონოლითური ფილა) თარაზული ანაწყობით და მინიმუმ 2 საათიანი ცეცხლმედეგობის მქონე (მასალიდან გამომდინარე, რომელიც აღწერილია წესების **721.1(1) და 721.1(2) ცხრილებში,** საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით გამოყენებულია ბეტონის ბლოკის წყობა), კედლებით რაც შეესაბამება **508.4 ცხრილში** განსაზღვრულ მოთხოვნებს.

სატუმბი დანადგარების და წყლის რეზერვუარის ოთახი (მდებარეობს -3.50 ნიშნულზე) დამატებით აკმაყოფილებს წესების **913.2.1 ქვეთავის** მოთხოვნებს, სატუმბი დანადგარის ოთახის დაცვასთან დაკავშირებით.

6. სასაწყობო ჯგუფის ქვეჯგუფი **სწ-2** (დასუფთავების ოთახი და საწყობი +9,95 ნიშნულზე) წესების **311.3 ქვეთავის** მიხედვით აღნიშნული დაკავებულობა მოიცავს შენობებს, სადაც არაწვადი მასალები ინახება და მიეკუთვნება მცირე საფრთხის შემცველ სასაწყობო ჯგუფს.

სწ-2 ქვეჯგუფის დაკავებულობისთვის განსაზღვრულია დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორი - **27,9** (დამხმარე სათავსები, მექანიკური მოწყობილობების ოთახი) - **1004 ქვეთავის** და **1004.1.2 ცხრილის** შესაბამისად და დაკავებულობის დატვირთვა ჯამურად შეადგენს **2** დამკავებელს.

საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით გათვალისწინებულია წესების **508.1 ქვეთავით** და **508.4 ცხრილით** განსაზღვრული განსხვავებული დაკავებულობების გამმიჯნავების მიმართ მოთხოვნები, სასაწყობე ჯგუფის ქვეჯგუფი **(სწ-2),** მის მომიჯნავედ მდებარე თავშეყრის **(თვ-2)** და ქვედა სართულზე დმებარე საცხოვრებელი **(სც-1)** ჯგუფის დაკავებულობებისგან გამიჯნულია მინიმუმ 2 საათიანი ცეცხლმედეგობის მქონე (მასალიდან გამომდინარე, რომელიც აღწერილია წესების **721.1(1) და 721.1(2) ცხრილებში,** საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით გამოყენებულია გაძლიერებული ბეტონის მონოლითური ფილა) თარაზული ანაწყობით და მინიმუმ 2 საათიანი ცეცხლმედეგობის მქონე (მასალიდან გამომდინარე, რომელიც აღწერილია წესების **721.1(1) და 721.1(2) ცხრილებში,** საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით გამოყენებულია ბეტონის ბლოკის წყობა), კედლებით რაც შეესაბამება წესების **508.4 ცხრილში** განსაზღვრულ მოთხოვნებს.

დაკავებულობებისა და დაკავებულობის დატვირთვის შეფასება განხორციელდა დამკვეთის მიერ მოწოდებულ არქიტექტურულ პროექტზე დაყრდნობით და შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების გამოყენებით (საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილება ტექნიკურ რეგლამენტის – "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების" დამტკიცების თაობაზე"). უნდა აღინიშნოს, რომ საპროექტო დოკუმენტაციის ცვლილება ან მშენებლობის დროს განხორციელებული რაიმე სახის ცვლილება, რომელიც იქნება აღნიშნულ არქიტექტურულ პროექტთან შეუსაბამო, ავტომატურად გამოიწვევს წარმოდგენილი საექსპერტო დასკვნის და შეფასებების გაუქმებას, ასევე საჭიროს გახდის არქიტექტურული პროექტის კორექტირებას და ახალი სამშენებლო ნებართვის მიღების აუცილებლობას.

2. კონსტრუქციის ტიპების შეფასება.

შენობა-ნაგებობის უსაფრთოხების წესების მიხედვით საპროექტო შენობისთვის გამოყენებული მასალების ცეცხლმედეგობის (განსაზღრულია **721.1 ცხრილის** მიხედვით) , შენობაში არსებული დაკავებულობების საფუძველზე და შენობის საპროექტო სიმაღლიდან გამომდინარე შენობისთვის განსაზღრულია **II-B** კონსტრუქციის ტიპი.

საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით შენობის ელემენტები-ძირითადი სტრუქტურული ჩარჩო (გაძლიერებული ბეტონის კარკასი), იატაკის კონსტრუქცია და არაძირითადი ნაწილები (გაძლიერებული ბეტონის მონოლითური ფილა), სახურავის კონსტრუქცია და არაძირითადი ნაწილები (გაძლიერებული ბეტონის მონოლითური ფილა დასრულებული ბრტყელი გადახურვით და ლითონის ქვეკონსტრუქციის მქონე მეტალო-კრამიტის ქანობიანი გადახურვა) აკმაყოფილებსწესების წესების **601 ქვეთავს, 601 ცხრილის** მოთხოვნებს,პროექტის მიხედვით ზემოთ აღწერილი ელემენტების ცეცხლმედეგობის ხარისხი **721 ქვეთვაში** აღწერილი მასალათა სპეციფიკაციიდან გამომდინარე შეადგენს მინიმუმ **2 საათს**, ხოლო სახურავის კონსტრუქციისთვის მინიმუმ **2 საათს** და აღემატება **601 ცხრილში II-B** კონსტრუქციის ტიპისთვის მოთხოვნილ ცეცხლმედეგობის ხარისხს, რადგან აღნიშნული კონსტრუქციის ტიპის დროს შენობის ელემენტებს არ მოეთხოვებათან ცეცხლმედეგობის ხარისხი.

გარე კედელბის ცეცხლმედეგობის ხარისხი აკმაყოფილებს წესების **602 ცხრილში** განსაზღვრულ მინიმუმს ხანძარსაწინააღმდეგო მანძილიდან და გარე კედელბის სამშენებლო მასალიდან გამომდიანრე, რაც ქვემოთ უფრო დეტალურად იქნება აღწერილი.

კონსტრუქციის ტიპების შეფასება განხორციელდა დამკვეთის მიერ მოწოდებულ არქიტექტურულ პროექტზე დაყრდნობით და შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების გამოყენებით (საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილება ტექნიკურ რეგლამენტის – "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების" დამტკიცების თაობაზე"). უნდა აღინიშნოს, რომ საპროექტო დოკუმენტაციის ცვლილება ან მშენებლობის დროს განხორციელებული რაიმე სახის ცვლილება, რომელიც იქნება აღნიშნულ არქიტექტურულ პროექტთან შეუსაბამო, ავტომატურად გამოიწვევს წარმოდგენილი საექსპერტო დასკვნის და შეფასებების გაუქმებას, ასევე საჭიროს გახდის არქიტექტურული პროექტის კორექტირებას და ახალი სამშენებლო ნებართვის მიღების აუცილებლობას.

3. სიმაღლისა და ფართობის შეფასება.

საპროექტო შენობის სიმაღლე და ფართობი განსაზღვრულია **წესების მე-5 თავის 503-ცხრილის** მიხედვით შენობაში არსებული დაკავებულობების და კონსტრუქციის ტიპიდან **(II-B)** გამომდინარე შენობის ყველა ნაწილი აკმაყოფილებს განსაზღვრულ ნორმებს.

იქიდან გამომდინარე, რომ საპროექტო შენობა აკმაყოფილებს **II-B** კონსტრუქციის ტიპისთვის განსაზღვრულ მოთხოვნებს, წესების **503-ე ცხრილის** მიხედვით შენობის დასაშვები სიმაღლეშეადგენს **16,8** მეტრს, ხოლო დასაშვები სართულიანობა საპროექტო დოკუმენტაციით მოცემული თითოეული დაკავებულობისთვის **(თვ-1, თვ-2, სქ, სც-1,სწ-2 და დს)** განსაზღვრულია ინდივიდუალურად და შეადგენს:

თვ-1 თვ-2 და დს ქვეჯგუფის დაკავებულობებისთვის 2 სართულს, ხოლო **სქ, სც-1 და სწ-2** ჯგუფის დაკავებულობებისთვის 4 სართულს.

წესების **503 ცხრილის** მიხედვით სართულის დასაშვები ფართობი **თვ-1 და დს** ჯგუფების დაკავებულობებისთვის შეადგენს **790 კვ.მ-ს, თვ-2** ქვეჯგუფისთვის **- 880 კვ.მ-ს, სქ** ჯგუფისთვის - **2140 კვ.მ-ს, სც-1 ქვეჯგუფსითვის - 1490 კვ.მ-ს,** ხოლო **სწ-2** ქვეჯგუფის დაკავებულობისთის **2420 კვ.მ-ს.**

საპროექტო შენობის შემოთავეზებული სართულიანობაა მიწის ზემოთ **4 სართული** (მიწისქვეშა ერთი სართული) შემოთავაზებული სიმაღლე გამოთვლილია წესების მიხედვით და შეადგენს **12.28 მეტრს (შენობის სიმაღლე განსაზღვრულია მიწის დონის ნიშნულიდან - 423,74 მეტრი)**

საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით **თვ-1**, **თვ-2, სქ, სც-1. სწ-2 და დს ჯგუფის** დაკავებულობის დატვირთვის ფართობი შეადგენს:

- **თვ-1** ქვეჯგუფი – **70.8 კვ.მ**
- **თვ-2** ქვეჯგუფი – **233.3 კვ.მ** (მაქსიმალური ფართობი სართულზე)
- **სქ** ჯგუფი – **31.1 კვ.მ**
- **დს** ქვეჯგუფი – **66.5 კვ.მ** (მაქსიმალური ფართობი სართულზე)
- **სც-1** ჯგუფი – **541.1 კვ.მ** (მაქსიმალური ფართობი სართულზე)
- **სწ-2** ქვეჯგუფი – **40.5 კვ.მ**

საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით განსაზღვრული შენობის, სიმაღლე, სართულიანობა და დაკავებულობის ფართობები განსაზღვრულია წესების შესაბამისად და აკმაყოფილებს **მე-5 თავის 503 - ცხრილის მოთხოვნებს.**

სიმაღლისა და ფართობის შეფასება განხორციელდა დამკვეთის მიერ მოწოდებულ არქიტექტურულ პროექტზე დაყრდნობით და შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების გამოყენებით (საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილება ტექნიკურ რეგლამენტის – "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების" დამტკიცების თაობაზე"). უნდა აღინიშნოს, რომ საპროექტო დოკუმენტაციის ცვლილება ან მშენებლობის დროს განხორციელებული რაიმე სახის ცვლილება, რომელიც იქნება აღნიშნულ არქიტექტურულ პროექტთან შეუსაბამო, ავტომატურად გამოიწვევს წარმოდგენილი საექსპერტო დასკვნის და შეფასებების გაუქმებას, ასევე საჭიროს გახდის არქიტექტურული პროექტის კორექტირებას და ახალი სამშენებლო ნებართვის მიღების აუცილებლობას.

4. გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასავლელებისა და შენობიდან გამოსასვლელების შეფასება.

გასასვლელების სისტემაში შემავალი სამივე ელემენტის (გასასვლელთან მისადგომი, გასასვლელი, შენობიდან გამოსასვლელი) ანალიზი განხორციელდა შენობის თითოეული სართულის დაკავებულობის დატვირთვის, გასავლელამდე სავალი მანძილის, ჩიხურ დერეფნებთან დაკავშირებული შეზღუდვების და გასავლელის კომპონენტების ზომების საფუძველზე **მე-10 თავის** შესაბამისად.

წესების **მე-10 თავის 1021.2 ქვეთავის, 1021.2(1) და 1021.2(2) ცხრილებიდან** გამომდინარე შენობის თითოეულ სართულს ემსახურება მინიმუმ 2 გასასვლელის გზა-კიბე (ერთი შიგა გასასვლელის გზა--კიბე და ერთი გარე გასასვლელის გზა-კიბე) და მინიმუმ 2 გასასვლელის გზა-კარი.

საპროექტო დოკუმენტაციით წარმოდგენილი შიგა გასასვლელის გზა-კიბე, მდებარეობს "5-6" და "გ-დ" ღერძებს შორის და წესების **1009.3 ქვეთავის** მოთხოვნებიდან გამომდინარე შემოზღუდულია ცეცხლმდეგი კედლებით, ცეცხლმდეგობის ხარისხი შეადგენს მინიმუმ 2 საათს. აღნიშნული კიბე მიწისპირა სართულზე ვესტიბიულის გავლით უკავშირდება შიგა ეზოში გამავალ შენობიდან გამოსასვლელ კარს, ხოლო შიდა ეზო ჩაუხერგავი ბილიკით უკავშირდება საზოგადოებრივ ქუჩას, რაც აკმაყოფილებს წესების **1027 ქვეთავის** პირველი გამონაკლისის მოთხოვნებს. საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით შენობის მიწისზედა 3 სართულს, მეორე ძირითად გასასვლელ საშუალებად ემსახურება "2-3" და "თ" ღერძებში მდებარე გარე გასასვლელის სპირალური გზა-კიბე, რომელიც აკმაყოფილებს წესების **1021.2(2) ცხრილის "დ"** სქოლიოს მოთხოვნებს, *"კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონებში სც-1 დაკავებულობის სასტუმროსათვის, ოთხი სართულის ჩათვლით, გასასვლელი საშუალების ნაწილად დასაშვებია **1009.12 ქვეთავის** შესაბამისი სპირალური გზა-კიბეების გამოყენება".* სპირალური გზა-კიბე დამატებით აკმაყოფილებს წესების **1026.3 ქვეთავის** მოთხოვნას ღია მხარესთან დაკავშირებით და **1026.5 ქვეთავის** მოთხოვნებს მდებარეობასთან დაკავშირებით.

გასასვლელები გადანაწილებულია შემდეგნაირად:

მიწის დონის ქვემოთ, -3.50 ნიშნულზე განთავსებულ დაკავებულობებს **(თვ-1, თვ-2, სქ და დს ჯგუფები)** საერთო დაკავებულობის დატვირთვიდან **(274 დამკავებელი)** და გასასვლელამდე სავალი მაქსიმლაური მანძილიდან **(44.7 მეტრი)** გამომდიანრე ემსახურება 1 შიგა გასასვლელის გზა-კიბე და 1

გარე-გასასვლელის გზა-კიბე, რაც აკმაყოფილებს წესების **1021.2 ქვეთავის** მოთხოვნებს მიწის დონის ქვედა სართულებთან დაკაშირებით. "1" და "ბ-დ" ღერძებს შორის მდებარე გარე გასასვლელი გზა-კიბე, შიდა ეზოს გავლით უკავშირდება საზოგადეობრივ სივრცეს.

საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით პირველ, მიწისპირა სართულზე (0.00 ნიშნული) განთავსებულ დაკავებულობებს **(დს და სც-1ჯგუფები)** საერთო დაკავებულობის დატვირთვიდან გამომდინარე **(26 დამკავებელი),** ემსახურება **3** გასასვლელის გზა-კარი. **დს** დაკავებულობის ჯგუფს დამატებით ემსახურება ერთი შენობიდან გამოსასვლელი გზა-კარი.

სც-1 ქვეჯგუფის დაკავებულობებს (რომლებიც განთავსებულია +3.50 და +6.80 ნიშნულებზე) საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით ემსახურება 1 შიგა გასასვლელის და 1 გარე გასასვლელის გზა-კიბე, რაც აკმაყოფილებს წესების **1021.2.2 ქვეთავის** და **1015.2.1 ქვეთავის** მოთხოვნებს.

საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით შენობის **+9,95 ნიშნულზე** განთავსებულ **თვ-2** და **სწ-2** ქვეჯგუფის დაკავებულობებს დაკავებულობის დატვირთვიდან **(121 დამკავებელი)** და გასასვლელამდე სავალი მაქსიმლაური მანძილიდან **(31 მეტრი)** დამომდინარე ასევე ემსახურება 1 შიგა გასასვლელის და 1 გარე გასასვლელის გზა-კიბე, რაც აკმაყოფილებს წესების **1021.2.2 ქვეთავის** და **1015.2.1 ქვეთავის** მოთხოვნებს.

საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით ჩიხური დერეფნების სიგრძე არ აღემატება **15** მეტრს, რაც აკმაყოფილებს წესების **1018.4 ქვეთავის** მე-2 გამონაკლისის მოთხოვნებს ჩიხურ დერეფნებთან დაკავშირებით.

იქიდან გამომდინარე, რომ საპროექტო შენობა არ შედის მაღლივი შენობის კატოგორიაში (სახანძრო მანქანის მისადგომი ყველაზე დაბალი წერტილიდან, შენობის ბოლო დაკავებული იატაკი მდებარეობს **11.92** მეტრზე) შიგა გასასვლელის გზა-კიბეს არ მოეთხოვება წესების **909.20 ქვეთავით** განსაზღვრული კვამლის საკონტროლო სისტემები, კიბეები შემოზღუდულია ცეცხლმედეგი კედლებით და აღჭურვილია ჰაერის მექანიკური განიავების სისტემებით.

საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით შენობა აღჭურვილია წესების **903.3.1 ქვეთავის** მიხედვით განსაზღვრული ავტოსაშხეფი სისტემით, ასევე შენობის თითოეულ სართულს გააჩნია ორი გასასვლელი, შესაბამისად წესების **ქვეთავი 1016-სა და ცხრილი1016.2-ის** მიხედვით გასასვლელთან მისადგომი მაქსიმლური სავალი მანძილი დაშვებულია 75 მეტრი **თვ-1**, **თვ-2**, და **სც-1 ჯგუფის** დაკავებულობებისთვის, 90 მეტრი **-სქ** ჯგუფის დაკავებულობებისთვის და 120 მეტრი **სწ-2** და **დს** ჯგუფის დაკავებულობებისთვის,რაც საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით დაცულია.

გასასვლელი და გასასვლელთან მისადგომი გზა-კიბეები მოწყობილია**1009 ქვეთავის** შესაბამისად და აკამყოფილებს ყველა აუცილებელ მოთხოვნას. გასასვლელთან მისადგომი დერეფნები მოწყობილია **1018 ქვეთავის** მიხედვით და აკმაყოფილებს მინიმუმ 1 საათიან ცეცხლმედეგობის ხარისხს ,ხოლო გასასვლელი გზა-კარები მოწყობილია წესების **1008 ქვეთავის** შესაბამისად, ყველა მათგანი აკამყოფილებს ყველა აუცილებელ მოთხოვნას, რასაც ქვემოთ უფრო დეტალურად განვიხილავთ.

გასასვლელები გრძელდება**1027 ქვეთავის** მიხედვით მოწყობილი შენობიდან გამოსასვლელით და სრულდება საზოგადოებრივ გზაზე.

გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასავლელებისა და შენობიდან გამოსასვლელების შეფასება *განხორციელდა დამკვეთის მიერ მოწოდებულ არქიტექტურულ პროექტზე დაყრდნობით და შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების გამოყენებით (საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილება ტექნიკურ რეგლამენტის – "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების" დამტკიცების თაობაზე"). უნდა აღინიშნოს, რომ საპროექტო დოკუმენტაციის ცვლილება ან მშენებლობის დროს განხორციელებული რაიმე სახის ცვლილება, რომელიც იქნება აღნიშნულ არქიტექტურულ პროექტთან შეუსაბამო, ავტომატურად გამოიწვევს*

წარმოდგენილი საექსპერტო დასკვნის და შეფასებების გაუქმებას, ასევე საჭიროს გახდის არქიტექტურული პროექტის კორექტირებას და ახალი სამშენებლო ნებართვის მიღების აუცილებლობას.

5. გზა-კიბეებისა და სხვა გასასვლელის საშუალებების გამტარუნარიანობების შეფასება.

როგორც ზემოთ აღინიშნა გასასვლელი და გასასვლელთან მისადგომი გზა-კიბეები მოწყობილია წესების **1009 ქვეთავის** შესაბამისად.

გზა-კიბეების მინიმალური სიგანე განსაზღვრულია წესბის **1009.4 ქვეთავის** და შენობის სართულზე მაქსიმალური დაკავებულობის დატვირთვის **(274 და 121 დამკავებელი)** მიხედვით, გზა-კიბეების გამტარუნარიანობის გამოსათვლელად გამოყენებულია **1005.3.1.** ქვეთავში განსაზღვრული ფაქტორი **(5,1მმ)** პროექტის მიხედვით გათვალისწინებულია დასაშვებ მინიმუმის შესაბამისი **მინ. 1.1** მეტრი სიგანის გზა-კიბე და მიღებული სიგანე შენარჩუნებულია შენობის ყველა სართულისთვის, სპირალური გარე გასასვლელის გზა-კიბის თავისუფალი გასასვლელის სიგანე შეადგენს მინიმუმ 1.1 მეტრს და აკმაყოფილებს წესების **1009.12 ქვეთავის** მოთხოვნებს.

შიგა და გარე გასასვლელის გზა-კიბეები, ასევე აკმაყოფილებეს წესების **1009.7, 1009.8** და **1009.15** ქვეთავების მოთხოვნებს, კიბის საფეხურებთან, ბაქნებთან და სახელურებთან დაკავშირებით (იხილეთ გზა-კიბის დეტალური ნახაზი).

